ხელშეკრულება №350103/013

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 3 თებერვალი 2012 წ.

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს “4x4” (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ირაკლი რატიანს სახით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი და საგანი

1.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურეობა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები (CPV კოდი – 50100000).

1.2 ხელშეკრულების შესყიდვის საგანია "შემსყიდველის" სარგებლობაში არსებული შემდეგი სახეობის ავტომანქანების შეკეთება, ტექნიკური მომსახურეობა და სათადარიგო ნაწილების უზრუნველყოფა:

ა) შვიდი ერთეული „GREAT WALL WINGLE” (დანართი № 1) ;

ბ) ერთი ერთეული "FORD EXPLORER" (დანართი № 1);

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 "საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.

2.2 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი.

2.3 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვარის N 26 დადგენილება.

2.4 სსიპ “ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის” ადმინისტრაციული ბიუჯეტის ასიგნება.

3. ხელშეკრულების ერთეულის და საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ერთეულის ღირებუულება განისაზღვრება დანართი №2-ით

3.2 ხელშეკრულების საერთო ზღვრული ღირებულება შეადგენს 20 000,00 (ოცი ათასი) ლარს დამატები ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2 ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 „მომსახურების“ მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 „მომსახურების“ მიწოდების საერთო ვადა არის 03.02.2012-დან 31.12.2012-ის ჩათვლით.

6.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემთხვევაში ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება, რის შემდგომაც მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა, მათი ღირებულებები, აგრეთვე მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები;

6.4. იმ შემთხვევაში თუ გასაწევი მომსახურეობა ითვალისწინებს ისეთი სამუშაოების შესრულებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულების დანართი №-2-ის ჩამონათვალში მხარეები დამატებით განსაზღვრავენ გასაწევ მომსახურეობის ჩამონათვალს და მის ღირებულებას,

შეადგენენ შესაბამის აქტს, რომელიც გახდება "მიმწოდებლის" მიერ მომსახურეობის გაწევის საფუძველი და ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულებიდან.
6.5 მომსახურეობის გაწევის ადგილია "მიმწოდებლის" სერვის ცენტრი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად. მომსახურების მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება შესაბამისი აქტი.
7.2 მოწოდებული მომსახურების შემოწმებას, განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი.
7.3 შესრულებული სამუშაოების შესახებ დოკუმენტაციას შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
7.4 შესყიდვის ობიექტის მიღებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედდებული-განხორციელებული მომსახურების დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.
7.5 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.4. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა მომსახურების დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.
7.6 „მომსახურების“ მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.
7.7 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით მომსახურეობის გაწევის და შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.
8.2 ანგარიშსწორების განხორციელდებისათვის მიმწოდებლმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი ანგარიშფაქტურა მომსახურების აღწერით, მომსახურების რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.
8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
9.1.1 აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
9. 2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.
9.2.2 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.
9.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილებელი შესრულება.
9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.
9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
9.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მეირ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

10.2 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

10.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.4 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.7.1 თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს „მომსახურება“.

10.7.2 თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.9.2 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.9.3 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

11. პირგასამტეხლო

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

11.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

11.3 ხელშეკრულების გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი მხარე ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

11.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.

12.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება ოფიციალური წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2 „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს

სამოქალაქო კოდექსით და "სახელმწიფო სესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.4 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1 ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება "შემსყიდველთან".

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ასათიანის ქ.9 საიდენტიფიკაციო კოდი 211324351 ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა ბ/კ 220101222 ა/ა 200122900 გენერალური დირექტორი	შპს „4x4“ თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი N38 ტელ/ფაქსი 2304410 საიდენტიფიკაციო კოდი: 204920354 ბანკი ქართუს ვაკის ფილიალი მფო-220101081 ა/ა GE55CR0140050001983602 დირექტორი
_____ ნატო ავალიანი *ბ.ა*	_____ ირაკლი რატიანი *ბ.ა.*

ვიზა: კ. ოჩიგავა

დ. მღებრიშვილი

ო. ნამიჭეიშვილი

ხ. ფირანიშვილი

შემსრულებელი: ხ. ჭულუხაძე

დანართი №1

№	ავტომანქანის დასახელება	სახელმწიფო ნომერი	ძრავის სიმძლავრე
1	FORD EXPLORER	HNH-473	ბენზინი 4,0
2	GREAT WALL WINGLE	DCG-626	დიზელი 2,8
3	GREAT WALL WINGLE	DCG-627	დიზელი 2,8
4	GREAT WALL WINGLE	DCG-628	დიზელი 2,8
5	GREAT WALL WINGLE	DCG-629	დიზელი 2,8
6	GREAT WALL WINGLE	DCG-630	დიზელი 2,8
7	GREAT WALL WINGLE	DCG-631	დიზელი 2,8
8	GREAT WALL WINGLE	DCG-632	დიზელი 2,8

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული გენერალური დირექტორი

_____ ნატო ავალიანი

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „4x4“ დირექტორი

_____ირაკლი რატიანი

ბ.ა.

დანართი №2

		სამუშაოს ღირებულება დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, ლარი
01.	ძრავის ზეთის შეცვლა	3.80
02.	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	7.30
03.	მოჭიდების და მუხრუჭის პედლების თავისუფალი სვლის, მოჭიდების, მუხრუჭის და ჰიდრავლიკის სითხის დონის შემოწმება	26.00
04.	სიჩქარეების გადართვის შემოწმება	10.40
05.	ქანჩებისა და ჭანჭიკების სრული გადაჭერა: ძარა, ძრავა, დაკიდება	41.80
06.	საჭის, მექანიზმის და ძელების შემოწმება, შეზეთვა, რეგულირება	23.70
07.	ხელის მუხრუჭის შემოწმება/რეგულირება	13.50
08.	ელექტროობის შემოწმება	15.80
09.	საწვ. ფილტრის შემოწმება, წყლის ჩამოსხმა	21.40
10.	ღვედების შემოწმება	7.90
11.	კარდნების შემოწმება/შეზეთვა	25.74
12.	წინა და უკანა დაკიდების შემოწმება	41.80
13.	სრული შეზეთვა (საპოხი)	62.20
14.	წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების შემოწმება	39.50
15.	ვაკუუმის სისტემის შემოწმება	13.50
16.	საწვ. ფილტრის შეცვლა	23.40
17.	წყლის, საწვავის ან ზეთის ჟონვის შემოწმება	20.40
18.	გამონაბოლქვის შემოწმება/რეგულირება	48.70
19.	ზეთის დონის და ხარისხის შემოწმება წინა და უკანა ხიდებში, გადაცემათა კოლოფში, გამანაწილებელში	62.20
20.	სტუპიცის საკისრებში საპოხის შეცვლა	40.80
21.	ზეთის დონის და ხარისხის შემოწმება საჭის მექანიზმში	18.10
22.	საწვავის პომპის შემოწმება	100.70
23.	ზეთის შეცვლა წინა და უკანა ხიდებში, გადაცემათა კოლოფში, გამანაწილებელში	93.80
24.	სტუპიცის საკისრების შემოწმ./რეგულირ.	44.10
25.	ძრავის კბილანა ღვედის შეცვლა	80.00-180.00
26.	ძრავის და კომპრესიის შემოწმება, რეგულირება	102.70
27.	ანტიფრიზის შეცვლა	40.80
28.	ჰაერის ფილტრის შეცვლა	6.90
29.	მუხრუჭისა და მოჭიდების სითხის შეცვლა	92.80
30.	მუხრუჭის ცილინდრების მანჟეტების და მილების შეცვლა	108.60
31.	ზეთის შეცვლა ჰიდროგამაძლიერებელში	48.70
32.	საბურავის შეცვლა/შეკეთება	11.20
33.	საბურავის ბალანსირება	20.40
34.	საბურავის გადაადგილება	10.20
35.	ზამბარის ან მზღუდის შეცვლა	108.60
36.	ამორტიზატორის ან საჭის ამორტიზატორის შეცვლა	26.00
37.	სტაბილიზატორის ან სტაბილიზატორის კრონშტეინის შეცვლა	20.40

38.	წინა ხიდის გრძივი კრონშტეინის რეზინის შეცვლა	20.40
39.	წინა და უკანა ძელების მილისის შეცვლა	46.40
40.	საქარე მინის შეცვლა	100.14
41.	საქარე მინის შეცვლა (წებოზე)	364.00
42.	ძრავის მოხსნა დაყენება	600.00
43.	სიჩქარეთა კოლოფის მოხსნა, დაყენება (მექანიკური)	256.00
44.	მოჭიდების დისკი ან დაფის შეცვლა (მოხსნილ სიჩქარეთა კოლოფზე)	72.40
45.	კონდიცირების სისტემის დამუხტვა	191.00
46.	წყლის პომპის შეცვლა	67.60
47.	ღვედის შეცვლა	15.80
48.	წინა ერთი სტუპიცის საკისრის შეცვლა	41.80
49.	ძარის სამაგრი რეზინის შეცვლა	44.10
50.	წინა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	36.20
51.	უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	20.80
52.	ძარის შეღებვა (ერთი ფრაგმენტი)	186.00
53.	სამუხრუჭე გაყვანილობისა და დოლების შემოწმება*	58.12
54.	სამუხრუჭე ხუნდებისა და დაფების შემოწმება*	37.70
55.	ჰაერის ფილტრის შემოწმება*	2.60
56.	სამუხრუჭე და მოჭიდების მილების შემოწმება*	34.16
57.	კარდნების შემოწმება, მტვრისგან დამცველების შემოწმება და ქანჩების გადაჭერა*	40.28
58.	საჭის, მოხვევის მექანიზმისა და ზეთის დონის შემოწმება *	36.20
59.	წინა და უკანა დაკიდების შემოწმება*	40.80
60.	შასისა და ძარის სამაგრი ქანჩებისა და ჭანჭიკების გადაჭერა*	45.12

*უგზოობის შემდეგ რეკომენდირებული სამუშაოები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა
კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული

გენერალური დირექტორი

ნატო ავალიანი

მ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „4x4“

დირექტორი

ირაკლი რატიანი

მ.ა.